სამახარობლო ერგება თუ არა

(ვუძღვნი ,,კვალის'' რედაქციასა)

(1897 წელი)

ამას წინათ ,,კვალმა'' დაბეჭდა ახალს ამბებში შემდები ცნობა: ჩვენ მკითხველებს უნდა ვახაროთ ერთი სასიამოვნო ამბავი: მთავრობას მოუწონებია სკოლებში სახმარებლად პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელო ქართულისა ენისა სახელად „ბავშვების მოკეთე“.

ხსენებული წიგნი ჯერ დაბეჭდილი არ არის. იგი პირდაპირ ხელთნაწერის სახით არის წარდგენილი მთავრობის წინაშე მოსაწონებლად სკოლების ხმარებისათვის. წინად ჩვენში სრულიად სხვა რიგით მიდიოდა წიგნების მოწონების საქმე. ავტორი ჯერ დაბეჭდავდა თავისს წიგნსა, გამოაქვეყნებდა, მოისმენდა მსჯელობას ქართველთ ლიტერატორებისას და პედაგოგებისას, და თუ მისი წიგნი აღმოჩნდებოდა სასარგებლო, ღირსეული, ნაბიჯის წინ გადადგმად იქნებოდა აღიარებული, მაშინ წარუდგენდა მთავრობას მოსაწონებლად და სკოლებში სახმარებლად. სწორედ ეს გზა გაიარა სავსებით „დედა-ენამ“. დამწერმა იგი დაბეჭდა და წარუდგინა კერძო ქართველ ლიტერატორთა და პედაგოგთა კომიტეტსა (მაშინ არ არსებობდა არც „წერა-კითხვის საზოგადოება“ და არც საზნაურო სკოლები), რომლის თავმჯდომარედ იყო, როგორც ყველას გვახსოვს, ყველასგან პატივცემული კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე. ამ კომიტეტმა მოიწონა „დედა-ენა“ და სცნო იგი ღირსად ზარაფიშვილის ოცთუმნიანის პრემიისა.

აქ საჭიროდ ვრაცხთ მკითხველს მოვაგონოთ ღვაჭლი ბ-ნის ზარაფიშვილისა, იგი მაშინ მდიდარი ახალგაზრდა იყო და უხვად ხარჯავდა თავისს ქონებას გაზეთ „დროების“ გაუმჯობესობასა და ქართული წიგნების გამრავლებაზედ. ეს ღვაწლი ახლა გაღარიბებული ქართველისა არ უნდა დაივიწყოს ქართველმა საზოგადოებამ. კომიტეტის გადაწყვეტილების შემდეგ „დროებაში“ დაბეჭდა რეცენზია „დედა-ენის“ შესახებ ერთმა ახალგაზრდა ქართველმა, რომელიც რამდენსამე წელიწადს შვეიცარიაში სწავლობდა, სხვათაშორის პედაგოგიასა და სკოლის საქმეს, და დაადარა იგი საუკეთესო სახელმძღვანელოებს ევროპისასა. ამასთანავე რეცენზია დაბეჭდა „Тифписский вестаник“-ში ერთმა ქართული ენის მასწავლებელმა. მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგინა ავტორმა „დედა-ენა“ მთავრობას მოსაწონებლად. მაგრამ ვიდრე ეს წარმოდგენა მოხდებოდა, ერთმა მასწავლებელმა სახელმწიფო სკოლისამ მიართვა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ხელწერად ქართულ-რუსულისა სახელმძღვანელო, „ლუნშუ“ ანბანის სისტემაზედ შედგენილი.

მაშინდელი ქართული ლიტერატურა ფხიზლად იყო სწავლა-განათლების საქმეში და ამ სახელმძღვანელოს უკუღმართობა მაშინვე გამოააშკარავეს „ივერიამ“ და „დროებამ“. მაშინ რეცენზენტად იყო ქართველი, საოსტატო ინსტიტუტის მასწავლებელი, განვითარებული პედაგოგი, ბ-ნი ცისკარიშვილი. ამან გამოიჩინა იმდენი გაბედულობა და სამოქალაქო უნარი რომ სულ მიწასთან გაასწორა თავისს რეცენზიაში მინდობილი ხელთ-ნაწერი წიგნაკი და ბოლოს დაუმატა: ამ ყოვლად შეუსაბამო წიგნაკის მოწონებასა და დაბეჭდვას მთავრობის ხარკით ისა სჯობიან, რომ მიღებულ იქნას სახელმძღვანელო „დედა-ენა“, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა სტამბიდან, პედაგოგიურად არის შედგენილი და არავითარ ხარჯს არ

სთხოვს მთავრობასო. რამოდენსამე დღის შემდეგ „დედა-ენა“ წარედგინა მთავრობას გასასინჯად და მოსაწონებლად. მან ამ წიგნის განხილვა და დაფასება მიანდო იმავე ცისკარიშვილსა და გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანსა. ამათ ვრცელი მოხსენება მიართვეს ამ საგანზედ, წიგნი დასახეს ფრიად სასარგებლო სახელმძღვანელოდ და იგი მოწონებული იქნა სკოლებში სახმარებლად . ეს ვრცელი მოხსენება შემდეგ დაბეჭდა ბ-ნმა იოსელიანმა გაზეთ „კავკაზში“ ორ ფელეტონად.

ამავე სწორე, ღირსეულსა და სასარგებლო გზას ადგნენ სხვა შემადგენელნიცა სახელმძღვანელოებისა. ადგნენ არა მარტო დამოუკიდებელნი პირნი, არამედ იმისთანაც, რომელთა ოფიციალური თანამდებობა ეჭირათ. „ბავშვების მოკეთეს“ შემადგენელმა კი სხვა გზა ამოირჩია, თუმცა იგი თავისუფალი და დამოუკიდებელი სასწავლებლის მასწავლებელია.

„კვალს“ რაღად მოსწონს ეს გზა? ნუ თუ არ ესმის, რომ იგი მიასუსტებს ქართულ ენას სკოლებში და მტკიცე ნიადაგს გამოაცლის ფეხ-ქვეშიდან ქართულს მწიგნობრობას, ლიტერატურას და თვით „კვალ-ჯეჯილსა“? პირადი და საზოგადო ინტერესი მოითხოვდა, რათა რედაქციას უარ-ეყო ეს გზა; მაგრამ ამის ნაცვლად იგი იწონებს იმას და ამითი აქეზებს სხვებსაც ამ გზას დადგენ. რისთვის?

საქმე ის არის, რომ „ბავშვების მოკეთე“ იპყრობს ანბანსა და პირველს საკითხავს წიგნსა და „დედა-ენის“ სამაგიეროდ არის დანიშნული. მაგრა იქნება „მოკეთე“ იყოს უფრო მდიდარი „დედა-ენაზედ“ და ქართულის ენის პროგრამის გაგანიერებას და გაძლიერებას გვიქადდეს? სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. „კვალმა“ ყველაზე კარგად იცის, რომ „მოკეთე“ შეიცავს საკითხავ მასალას მხოლოდ პირველის წლისას და ამასთან სრულიად მოკლებულია საწერს დედანსა, რომელიც მისათვის ყოვლად უსაჭიროესია, რადგან ცალკე დედნის გაგზავნით თავს არავინ გაიცეცხლებს, და ამის გამო ქართული წერა სრულიად გაუქმდება სკოლაში და დარჩება მხოლოდ კითხვა, ისიც მარტო პირველი წლის განმავლობაში. ეს იმიტომ მოხდება, რომ ეს ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც სახალისო სკოლებში იგზავნება მხოლოდ პირველი წიგნი, და თან იმასაც იმდურებიან, რად არის იგი დიდიო.

„კვალმა“ ისიც კარგად იცის, რომ „დედა-ენაში“ მოთავსებულია ორი წლის კურსი როგორც კითხვისა, ისე წერისა და ბავშვი, რომელიც მას რიგიანად ათავებს, კარგად იმართება კითხვაშიაც და წერაშიაც. საზოგადო მასალის გარდა, „დედა-ენა“ იპყრობს სასულიერო-ზნეობრივს განყოფილებას, ეტიკურს მოთხრობებს და ლექსებს, რომელთაც ყველგან დიდს მნიშვნელობას აძლევენ. თვით პედაგოგიის სამშობლოში, გერმანიაშიაც, სადაც ოჯახების რიგიანობა უმაღლეს წერტილამდინ არის ასული, მით უმეტეს იგი საჭიროა ქართველთათვის, რომელთა ოჯახი შერყეულია ძირამდინ და მოკლებული მტკიცე ეტიკურს პრინციპებსა. ეს კარგად ესმით კითხავად სკოლიდგან გასვლის შემდეგ შინაობაში. ყველა ამას „მოკეთე“ მოკლებულია, და ეს ყველაზედ კარგად უწყის „კვალის“ რედაქციამ.

რადგანაც „ბავშვების მოკეთე“ იპყრობს მხოლოდ ერთის წლის საკითხავ მასალასა და სრულიად მოკლებულია საწერს დედანსა, იგი უნდა ჩაითვალოს მეოთხედად „დედა-ენისა“ და აი ამ მეოთხედის მოწონებას და მიღებას მთელის გაზეთი დიდის სიხარულით ეგებება. ეგებება მაშინ, როდესაც კარგად იცის, რომ დიდი ხანია, რაც სახალხო სკოლებს მეორე

საკითხავი ქართული წიგნი აღარ ეგზავნებათ, ასე რომ პირველი წიგნი უკანასკნელიც არის სკოლებისათვის. ამის გამო ხსენებული მეოთხედ წიგნაკით შესწყდება ქართულის ენის სწავლება პირველსავე წელიწადს სკოლებში შემდეგ წლებში, შჩედრინისა არ იყოს, будет чисто.

არა ნაკლებ ვნებას მოუტანს პატარა, ღარიბი სახელმძღვანელო იმ მრავალ მოწაფეებს, რომელნიც მხოლოდ ერთს წელიწადს რჩებიან სკოლაში. როცა ეს ბავშვები ხმარობენ იმისთანა დიდს სახელმძღვანელოს, რომელსაც მხოლოდ ნახევრობით ასწრებენ პირველს წელიწადსა, მაშინ ისინი მეორე ნახევარს ამ ნაცნობის წიგნაკისა ათავებენ შინ და ამითი ემზადებიან სხვა წიგნების კითხვისათვის. პატარა წიგნაკი კი ამ სამსახურს ვერ გაუწევს, და პირველის წლის შემდეგ ბავშვები დარჩებიან უწიგნოდ და მალე დაივიწყებენ იმასაც, რაც პირველს წელიწადს ისწავლეს. ეს ორივე თვალით ბრმათათვისაც კი ცხადი უნდა იყყოს.

აი ამას სანატრელ მოვლენად სთვლის „კვალი“ და სიხარულით ეგებება. რად? ამის საიდუმლო წამოსცდა თვით ბ-ნ გიორგი წერეთლის საახალწლო ნომერში. იგი ჰგოდებს და ნიანგის ცრემლებს ღვრის იმაზედ, რომ ქართველებიო სულ უბრალო მიზეზის გამო ინდაურივით გადავეკიდებით ერთმანეთსაო და თავს ვუვლით სიკვდილამდეო ერთმა „კვალის“ მკითხველმა რომ ეს წაიკითხა, სთქვა: თვალ წინ წარმომიდგა ახლავე ის გმირი კარლოვისა, რომელმაც სარკეში ჩაიხედა, დაინახა საკუთარი სახე, შეეზარა იგი და მეზობლებს გასძახა:მე რომ ამ მახინჯს ვგავდე, ჯავრით თავს დავიხრჩობდიო. მაგრამ მაიმუნს ის უაღრესობა ჰქონდა ჩვენს მეცნიერზედ, რომ გულწრფელად სცდებოდა; ჩვენი გიორგი ბრძენი-კი მისდევს ქართულს ანდაზასა: ჩემი შენ გითხარიო...

დიაღ, ჩვენში საქმის გაკეთება ბევრად ძნელია, ვიდრე სხვაგან, უფრო კიდევ ძნელია დაცვა გაკეთებულის საქმისა გაფუჭებისაგან, რადგან რადგან გამფუჭებლები ჩვენში წინ გეღობებიან ყოველს ნაბიჯზედა. და როდესაც ამ გამფუჭებლების უკუღმართობას და უმეცრებას გამოაშკარავებ, წმინდა მოვალეობის აღსასრულებლად საზოგადოების წინაშე, ცბიერნი და ვერაგნი მორთავენ ხოლმე ყვირილსა: დახე! დახე! ახალგაზრდა ტალანტებს გზას უკრავსო. და ამის შედეგად რად გვიკვირს, როდესაც ცხადად ვხედავთ ჩვენს საზოგადოებაში გახრწნილების ნიშნებსა!

<u>ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა</u> საჩხერის #3 საჯარო სკოლის მოსწავლემ **თეკლე ზაბახიძემ**

მაისი, 2020 წელი

#დარჩისახლში